№ 79

1877—1896

პარასკევი, 12 აპრილი 1896

# ივერია

№ 79

პარასკევი, 12 აპრილი 1896

**ხაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, № 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №2 27

**სოლომონ და გიორგი დავითის ძე ყაზიბეგნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას ძმისა თვისისა **ს ვ ი მ ო ნ ი ს ა ს**, უმორჩილესად სთხოვენ სცენ პატივი და დაესწრონ წირვასა და პანაშვიდს შაბათს, 13 ამ თვეს, დილის 10-ს საათზე, კუკიის სასაფლაოს ეკკლესიაში, საიდამაც ნაწირვებს გარდაცვალებულის გვამს წაასვენებენ ს. ყაზბეგს საგვარეულო ტაძარში დასაკრძალავად.

1—1

შაბათს, 13 აპრილს, თავადის

**პორფირე იოსების ძის ბარათაშვილის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. ლიტურღიის დასაწყისი დილის 10 საათზედ. (1—47—1).

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ იქმნება გამართული 28 აპრილს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში) და **კნ. ოლგა თადეოზის ასულს**

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

## ტფილისი, 12 აპრილი.

—

ჩვენ მართალი ვიყავით, როცა ვსთქვით, რომ გერმანიის იმპერატორის მოგზაურობას სრულიადაც არა აქვს აზრად ინგლისს ჩამოაშოროს „სამთა კავშირის“ სახელმწიფოები. ეს მხოლოდ „ორთა კავშირის“ გაზეთებს ეგონათ. ეხლა თვით „ნოვ. ვრემ.“-ს (№ 7219) ატყობინებენ დეპეშით ლონდონიდამ: „აქ დარწმუნებულნი არიან, რომ „სამთა კავშირი“ ინგლისს დაუახლოვდებაო“. თუ ამას დიდი საფუძველი არა ჰქონდეს, არც-კი გამოაქვეყნებდა „ნოვ. ვრ.“

ეს მოსალოდნელიც იყო, რასაკვირველია. გერმანიამ ისეთი სამსახური გაუწია ინგლისს ეგვიპტის საქმეში, რომ არ შეიძლება უცაბედობით და ან წინდაუხედაობით აიხსნას იგი. სუდანის ექსპედიცია იმის მომასწავებელია, რომ ინგლისი არა თუ ჯარებს არ გამოიყვანს ეგვიპტიდამ, წინაალმდეგ უფრო მაგრადაც მოიკიდებს ფეხს იქა. ეს-კი საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგია და რუსეთისაც. ამიტომაც ამ ორმა სახელმწიფომ წინააღმდეგობა გაუწიეს ინგლისს. მტერ-მოყვარე გაჭირვებაში იცნობაო, და სწორედ აქ გაუწია გერმანიამ სამსახური ინგლისს, ისეთი სამსახური, რომ სრულიად დაავიწყა ის, რაც აწყენინა ამას წინად ტრანსვაალის საქმეების გამო. „სამთა კავშირის“ მიმხრობამ ინგლისს დიდი ძალა შეჰმატა, ისეთი, რომ საფრანგეთი კიდევაც დაფრთხა. ბერტელოს ხომ აუხირდენ და სამსახურს თავი დაანებებიეს სწორედ ამ საქმის გამო, ბურჟუას გაზეთი-კი უფრო ტკბილს ჰანგებსა დაჰმღერის. რომ ინგლისისა და გერმანიის დაახლოება ახალი ამბავი არ იყო და, რომ ეს დაახლოება მარტო ეგვიპტის საქმეში არ მომხდარა, იქიდამაც სჩანდა, რომ კორეს მეფეს, თურმე, მოსთხოვა ინგლისისა, შეერთებულის შტატებისა და გერმანიის წარმომადგენლებმა—რუსეთის საელჩოში ნუ ხარ, შენსავე სასახლეში გადადიო. მართალია, გერმანიის წარმომადგენელის ასეთი მოქცევა საეჭვოდ მიაჩნდათ, მაგრამ ზემოხსენებული დეპეშა ამ ეჭვსაც გვიქარწყლებს.

ამგვარად, ეგვიპტის საქმემ ინგლისს ნამდვილად დაანახვა თავისი მეგობრები და მტრები და თავისი ძალაც შეატყობინა. მომავალი იმაზედ არის დამოკიდებული, საფრანგეთი და რუსეთი კიდევ გაუწევენ წინააღმდეგობას ინგლისს, თუ გაჩერდებიან და უკეთესს მომავალს მოუცდიან. ეხლანდელი გაზეთებიდამ მხოლოდ ისა სჩანს, რომ მოლაპარაკება არის ეგვიპტის საქმეების გამო ინგლისსა, საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ხოლო თუ გაზეთების კილოს დავუკვირდებით, უნდა ვსთქვათ, რომ საფრანგეთი და რუსეთი ეცდებიან მორიგებით გათავდეს საქმე.

კ. აბაშიძე.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისიდამ უკვე მიდიან დეპუტაციები მოსკოვში წმ. დაგვირგვინებაზე დასასწრებლად. სხვათა შორის, წავიდა აგრეთვე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლიც, რომელიც ჯერ პეტერბურგს მივა და მერე აქედამ მოსკოვს.

*** მემკვიდრე ცესარევიჩი ამ მოკლე ხანში გემით „ზარნიცათი“ კავკასიაში ჩამობრძანდება. (მ. ვ.)

*** აგრონომიისა და ბაღის მოშენების უმაღლესს ქალების კურსებზედ ლექციების კითხვა 14-ს აპრილს დაიწყება. მოსწავლე ქალები მიიღებიან აპრილში, მაისში და სექტემბერში. (ნ. ვ.)

*** პეტერბურგიდამ გვწერენ: „სამეცნიერო აკადემიის კონფერენციამ გარდასწყვიტა შეიძინოს მ. ჯანაშვილისაგან მისი თხზულება—„Картвельскій языкъ и сравнительная грамматика его“, რომელიც ავტორისაგან წარდგენილი იყო აკადემიაში განსახილველად.“

*** სხვა-და-სხვა ადგილებიდან გვეკითხებიან, შეგვიძლია თუ არა წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ხელის მოწერა გავმართოთო. არავისთვის არ არის აღკრძალული თავის ნაცნობთაგან საქველ-მოქმედო საქმისათვის შემოწირულება მიიღოს და საცა ჯერ არს გაგზავნოს, ხოლო შემომწირველთა სახელები-კი გაზეთებში იქმნეს დაბეჭდილი.

*** 27 აპრილს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნულია სხდომა კომისიისა კავკასიის მეცხვარეთა საჭიროებათა შესახებ. სხდომას შეუძლიანთ დაესწრნენ ის მეცხვარენიც, რომელთაც სურვილი აქვთ ამ საგნის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ.

*** როგორც უკანასკნელად მოსულ ცნობებიდამა სჩანს, სახელმწიფო საბჭოს განუხილავს მელიორატიულის კრედიტის პროექტი და კვალად შეუმოკლებია იგი. საბჭოს უარუყვია მიეცეთ სესხად ფული შენობების ასაგებად, საძოვარ ადგილებისა და ჭალების გასაუმჯობესებლად და საქონლის შესაძენად. როგორც სჩანს აქედამ მელიორატიულ კრედიტიდამ სესხად მიეცემათ ფული მხოლოდ წყლების გასაყვანად, ჭაობებიან ადგილების ამოსაშრობათა და აგრეთვე იმისთვის, რომ ვენახები და ბაღები გააშენონ. როგორც ფიქრობენ, წრეულსვე დაიწყებს მოქმედებას ხსენებული კრედიტი. („კავკ. სამეურ. გაზ.)“.

*** რუსეთის იმპერიაში სულ 168 სავაჟო გიმნაზია და 60 პროგიმნაზია ყოფილა, რომლებშიაც სულ სწავლობს 58483 ყმაწვილი; აქედან კავკასიის სამოსწავლო ოლქის გიმნაზიებზე მოდის 3912 ყმაწვილი. გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების შესანახად სულ იხარჯება 10. 520. 157 მ. 95 კ.

*** სათავად-აზნ. საადგილ-მამულო სახელმწიფო ბანკს დაუნიშნავს გასასყიდლად 26 მამული ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა, რომელთაც არ შეუტანიათ სავალო გარდასახადი. ამ მამულთაგან 6 გორის მაზრაშია, 5—ბორჩალოს, 5—სიღნაღის, 3—ტფილისის, 2—დუშეთის და თითო-თითო თელავის, თიანეთის, ქუთაისის და შორაპნის მაზრებში. ყველა ეს მამული

## ფელეტონი

**სამი ცრემლი**

ანუ

**დედის ანდერძი**

„სიყვარულო, ძალსა შენსა
ვინ არის რომ არ ჰმონებდეს“.

I

„შევხვდი და შემიყვარდა.—მოუყვა ნინო თავის მშვენიერს თექვსმეტის წლის ტასოს—არ ვიცნობდი, იმ დღემდის არც-კი მენახა, არა გამეგონა იმის შესახებ, მაგრამ შემიყვარდა. შემიყვარდა ისე, როგორც-კი სიყვარული ადამიანს გამოუსახავს და შესძლებია. შემიყვარდა ისე, როგორც მზის სხივი უყვარს განთიადს, ვარდი ბულბულს, ოცნება გულს, დილის სიო გამოფხიზლებულს ბუნებას, ნუკეში გულდამწვარს, ჩანგი მგოსანს და სიმღერა მარტოდ მოარულს...

დიაღ, ის გარდაიქცა ჩემის სულის სიმღერად!.. სულ გამოვიცვალე: იმ დღემდის სუსტი და მიარცხვი ნინო, იმ დღიდამ ძლიერი და კადნიერი შევიქენი; წინად სიხარული იშვიათი სტუმარი იყო ჩემი; ცხოვრება—გულ-მკვლელი და უთავბოლო ტრიალი; მეგობრის მოპოება—მეტი ბარგი; სიყვარული—თვალთმაქცობა არარაობა; იმ დღიდამ-კი სიხარული ამომავალ მზედ გარდამექცა, რომელიც უხილველსა და ბნელით მოსილს მომავალთან იმედებით მაკავშირებდა; მეგობრის მიპოება ლოცვად აღვიარე, იგი მამხნევებდა და ნეტარებას უქადდა ჩემს განმარტოებულს არსებას; სიყვარული გალობად აღვსთქვი, რომლის საიდუმლო ჰანგი სულს ძლიერებით მიმოსავდა, გულს სათნოებით და გონებას სიფხიზლით... გრძნობა დარწმუნებული საუკუნო ცხოვრებაზე, სიკვდილს უარსა ჰყოფდა, დასასრულზე არა ჰფიქრობდა...

—

მიუხედავად იმისა, რომ მე მაშინ სულ ახალგაზდა ვიყავი (წელიწადი არ იქნებოდა, რაც სწავლა დავამთავრე)—დაკვირვებულსა და ჰკვიანს ნინოს მიძახოდნენ... როდესაც რომელიმე ახალგაზდა ჩემთან გაცნობას მოინდომებდა,—მე ყოველს ღონესა გხმარობდი უცნობის განზრახვა თავიდამ ამეშორებინა, რადგანაც ჩემს გულს მათი ნაცნობობა და მეტადრე მეგობრობა არა სწამდა, არა სჯეროდა. გული, გაფრთხილებული შემცდართა მწარე ლაღადით, დაახლოებაზე უარს ამბობდა და მხოლოდ განმარტოებულს ცხოვრებასა და შრომაში ეძიებდა მშვიდს ნავთსაყუდელს... მაგრამ ეს წესი, ეს სახელმძღვანელო, რომელიც ცხოვრების უმთავრესს მცნებად მიმაჩნდა,—მაშინ, შვილო, როდესაც რევაზი დავინახე, სადღაც მიეფარა, მისი შუქი დამცილდა, არავითარი გავლენა ჩემზე აღარ იქონია და—გულმა ერთბაშად გარდასწყვიტა რევაზის დამეგობრება, ანუ უკეთა ვსთქვათ, დამონება!..

—

25 წლის რევაზს სწავლა უმაღლესს სასწავლებელში ჰქონდა დამთავრებული. ლამაზი არ იყო. პირიქით, შესაძლო იყო, კაცს ეთქვა, რომ მისი სახე უფრო სიმახინჯისაკენ უხვევდა, ვიდრე სილამაზისაკენ. მაგრამ იმ ულამაზო, შავგრემანს სახეს ალაზათებდა და ამდიდრებდა მომხიბლავი, შავი, ჰკვიანი, ცეცხლის მფრქვეველი თვალები! როდესაც ის ორი გიშრული ვისმე შეაჩერდებოდნენ, ეკამათებოდნენ, ეტრფოდნენ,—მაშინ მათ მიერ არჩეულის გულისა და სულის სიმები იბორკებოდნენ, თრთოდნენ და მათს ძლიერებას ფიანდაზად ეშლებოდნენ!.. ამას დაუმატე მისი სიცოცხლით სავსე სახის გამომეტყველება, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, თაფლზე უფრო ტკბილი საუბარი და ცხადი იქნება, რომ ეს ყოველი რევაზს ჰმოსავდა უცნაურის შემპყრობის ძალით... და სწორედ ამ მომხიბლავს მისს ძალს, ყოველს ძალსა და ნებაზე უძლიერესს, ვეღარც მე გავუმკვლავდი და ვექვემდებარე...

—

ყოველი დღე, ყოველი წუთი გარდამექცა მხატვრათა და მოქანდაკეთ, რომელიც თითოეულს ნაკლს, რევაზის სახისას ასწორებდა, ავსებდა, ალამაზებდა და უახლოვებდა მშვენიერების იდეალს; ის რწმუნება, რომ რევაზი ლამაზი არ იყო, თანდა-თან მიქარწყლდებოდა და თვალთა წინ მიდგა დიდებული ხატება, რომლის წინაშეც შორიდგან მუხლმოყრილი ვლოცულობდი... ყოველი ჩემი ფიქრი, ნატვრა, იმედი და სასოება ერთს გზას დასდგომოდა: სანთლათა და საკმეველად გასდევდა იმ გრძნობის სიმს, რომელსაც ჩემი გონება შეებორკა და რევაზისაკენ ეზიდებოდა...

ასე ჩაიარა სამმა თვემ, ჩემთვის—სამმა საუკუნემ!..

—

ერთხელ, როდესაც დღე და ღამე გაიყარა, ყიჟინი, ჟრიამული და ხმაურობა, რომელიც ქვეყნის მაჯის ცემასა ნიშნავს, ნელ-ნელა მიწყდა და ჩაჰკვდა იმ მაღალისა და ბნელის მთის ძირში, სადაც ჩვენი სოფელი იყო გაშენებული, ოცნებამ ხელი მომკიდა და გამასეირნა. მწვერვალი იმ თვალ-უწვდენელის მთისა, რომელსაც „ვეშაპს“ უძახოდნენ, ოქროს ნათელმა შემოფარგლა, შე-

სულ 11880 დესეტინა არის და ჰმართებთ ბანკის 447089 მ. და 70 კ.

ვაჭრობა ამ წლის 3 ივნისისათვის არის დანიშნული.

*** ახლად დანიშნული ერევნის გუბერნატორი გრაფი ვ. თ. ტიზენგაუზენი გუშინ-წინ, 10 აპრილს, წავიდა ტფილისიდამ ერევანს. გრაფი ტიზენგაუზენი ტფილისის გუბერნატორმა შარვაშიძემ, მრავალმა მისმა ნაცნობებმა და მის თანამსახურთ გააცილეს.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორი ვასილიევი 9 აპრილს უკვე შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

*** მისაღები ეგზამენები ტფილისის ქალთა მესამე გიმნაზიაში 15 აპრილს დაიწყება და განეგრძობა 8 მაისამდეო, სწერს გაზ. „ტფ. ფურცელი“.

*** იმ პირთ, რომელნიც მოისურვებენ ქალთა სამკურნალო ინსტიტუტში შესვლას, უნდა დაიჭირონ ეგზამენი ლათინურს ენაში სავაჟო გიმნაზიებში და იმავე წესით, როგორც თვით გიმნაზიელები იჭერენ ამ ენაში ეგზამენს ატესტატის მისაღებად. ამ კანონს არ ექვემდებარებიან მხოლოდ უმაღლესს საქალებო კურსებზედ მოსწავლე ქალები და ის ქალები, რომელნიც დაამთავრებენ სწავლას ქ-ნი ფიშერის გიმნაზიაში მოსკოვში. (ნ. ვ.)

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „კალმასობა“, თხზულება იოვანე ბატონიშვილისა დიმიტრი ბაქრაძის წინასიტყვაობით. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. — „კალმასობას“ ჩვენს ძველს მწერლობაში დიდი ადგილი უკავია. იგი აქამდისაც ღირსი იყო დასტამბვისა. წიგნს წინ მიუძღვის მშვენიერი წინასიტყვაობა ჩვენის გამოჩენილის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძისა, რომელიც დალაგებით და სამართლიანად სჯის „კალმასობის“ მნიშვნელობასა და ღირსებაზე. „კალმასობის“ პირველი ტომი 1862 წ. „ცისკრის“ რედაქციამ გამოსცა ქართველ საზოგადოების მინდობილობით. მეორე ტომი დარჩა დაუბეჭდავათ და იგი ნაკუწ-ნაკუწ იბეჭდებოდა 1867 წ. „ცისკარში“. ცალკე წიგნათ არ დაბეჭდილა. ახლა გამომცემელს ზ. ჭიჭინაძეს ორივე ტომი ერთად გამოუცია. წიგნი შეიცავს 420 გვერდს, დაბეჭდილია სუფთათ და ღირს ერთი მანეთი. ამ წიგნის გამოსაცემად ხელის მოწერა ჰქონია გამართული და ზოგიერთ პირებს დახმარებაც აღმოუჩენიათ. ასეთსავე ღონისძიებით დაიბეჭდება „ამირან-დარეჯანიანი“ მოსე ხონელისა. როგორც «კალმასობა», ისე „ამირან-დარეჯანიანი“ ჩვენს ძველს მწერლობაში დიდად მნიშვნელოვანი თხზულება არის. „ამირან-დარეჯანიანი“ ქებულია თვით ჩვენის უკვდავის მელექსეობის მამათ მთავრის შოთა რუსთველისაგანაც და ამიტომ სასურველია, რომ ამ შესანიშნავს ძველს ნაშთსაც ჩვენის სიტყვა კაზმულის მწერლობისას დასასრული მიეცეს და დროით დაისტამბოს, რადგანაც ამ უძველეს ნაშთის დაბეჭდვა აქამდისაც საჭირო იყო.

*** სომხურ გაზეთ „მშაკ“-ის თანამშრომელ ხ. მალუმიანისაგან შემდეგი წერილი მიუღია გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“:

„სამშაბათს, 9 აპრილს, სახაზინო თეატრში, მესამე მოქმედების შემდეგ, როდესაც ბუფეტში გავედი ð პაპიროსს მოვუკიდე, უკანიდამ უცბად ვიღამაც დამარტყა. შემოვიხედე და რა ვნახე: კაცი, რომელმაც ასეთი სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა, ადგილობრივის სომხურ გაზეთ „არძაგანქის“ თანამშრომელი ბ-ნი სიმონ ახუმიანი იყო, რომელთანაც აგერ ხუთი წელიწადია არარავითარი ნაცნობობა არა მაქვს. მე საშინლად აღელდი ამ ვაჟბატონის ასეთის უკადრისის საქციელით, ვეცი და ვინ იცის რას ვუზამდი, რომ იქ დამსწრენი არ შეჰშველებოდნენ და ხელიდამ არ წაეგლიჯათ...

„მე საშინლად მეწყინა, რომ, ჩემდა უნებურად, იძულებული გავხდი საზოგადო ადგილას მშვიდობიანობა დამერღვია, მაიძულა ასეთმა მოულოდნელმა და მხეცურმა საქციელმა. დამნაშავე თეატრის ადმინისტრაციამ პოლიციის დახმარებით მაშინვე თეატრიდამ გაიყვანა.

„სახეში მაქვს-რა ის, რომ ბ-ნი ახუმიანი გაზეთის თანამშრომელია და ამიტომ ბეჭდვითის საქმის მოღვაწე, ჟურნალ-გაზეთობისა და საზოგადოების სამართალს მივანდობ საქციელს ბ-ნ ახუმიანისას, რომელსაც ბეჭდვით, ან საზოგადოებაში მიღებულ სხვა რომელიმე საშუალებითაც შეეძლო ჩემთან ანგარიშის გასწორება და ასეთს ულირსს საშუალებას-კი მიჰმართა და მოპარვით დამეცა თავს“.

სწორედ რომ ულირსი და მხეცური საქციელი ბ-ნის ახუმიანისა, რომელსაც, როგორც გაზეთის თანამშრომელს, არ შეჰფერის მუშტის ხმარება ისევე, როგორც ამას ყოველდღე სჩადიან ქუჩის ლაზღანდარა გზა-დაბნეულები.

## ჩვენის ახალგაზდობის თვით-განათლებას მოწყობა რიგება სჭირია.

(ბბ. ა. ხ—ისა და ი. გოგებაშვილის წერილების გამო.)

—

დასასრული *)

ახლა ვიკითხოთ, განა ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ არ შეგვიძლია გავუჩინოთ ჩვენს ახალგაზრდობას ქართულს ენაზედ ისეთი წიგნები, რომლებითაც შეეძლება მას დედა-ენაზედ მიიღოს სასურველი თვით-განვითარება,—იმისთანა თვით-განათლება, რომლის წყალობით იგი (ახალგაზრდობა) შეიძლებს რიგიანად გაიკვეთოს და შეიმუშაოს ქართული დარბაისლური სასჯა-ბაასო ენა.

ვთქვათ იპრიანა ღმერთმა და მთავრობამ გადასწყვიტა: საქართველოს ყველა სასწავლებლებში ქართულს ენას გავაბატონებთ, ოღონ ქართველებმა ქართულ ენაზედ დაწერილი სახელმძღვანელოები იქონიონო. ეჭვი არ არის, რომ ქართველობა, მოჰკრავს თუ არა ყურს ასეთს სასიხარულო დაპირებას, იმ წამსვე დაფათურდება და დიდის ენერგიით შეუდგება ჯაფას, რათა, რაც შეიძლება მალე, გაიჩინოს ქართულს ენაზედ ყველა სახელმძღვანელონი, სასწავლებელში სახმარნი. ამ საქმის გაკეთებაში, ჩემის ფიქრით, მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მთელი ქართველი საზოგადოება. ეხლა ვიკითხოთ: თუ-კი სკოლურს განათლებას დიდად აღარ ჩამოუვარდება თვით-განათლება და თუ-კი უკვე დიდი ხანია სრული უფლება გვაქვს დედა-ენაზედ მოვაწყოთ თვით-განათლება, მაშ რაღა გვიშლის ხელს, რომ ამ საქმის გაკეთებისთვის ყურებსაც არ ვაპარტყუნებთ? რატომ ამისთვისაც არ დავფათურდებით და შესაფერის ენერგიით არ შევუდგებით საქმეს, რომ, რაც შეიძლება მალე გავიჩინოთ ქართულს ენაზედ ყველა თხზულებანი, ჯეროვანის თვით-განვითარებისთვის საჭირონი. რატომ ამ საქმის გაკეთებაშიაც არ უნდა მიიღოს ჩვენმა საზოგადოებამ ცხოველი მონაწილეობა.

—

დიაღ, თუ გვინდა ჩვენი ყმაწვილკაცობა ხეირიანს თვით-განათლებას ეღირსოს დედა-ენაზედ, ამისთვის მთელმა ქართველმა საზოგადოებამ უნდა გამოიდვას თავი: ამ საზოგადოების ჯიბის შემწეობით უნდა შესდგეს ჯეროვანი თანხა, ურომლისოდაც ჩვენს დროში არავითარი დიდი საქმე არ ჰკეთდება. ბ-ნი ი. გოგებაშვილი თავისს წერილში («ღირსეული სახსოვარი») გვირჩევს ჩვენის სასიქადულო გაბრიელის სახელზედ საზოგადოების შემწეობით დავაარსოთ სამწიგნობრო თანხა, რომლითაც გამოვსცემთ ქართულს ენაზედ „დარბაისლურ“, „კლასიკურ“ და „ღირსეულ“ თხზულებანი და ამ ნაირად ჩვენს ახალგაზდობას, რომელიც ეხლა „უცხო მილში“ ეწაფება ცოდნას, მივსცემთ ღონის ძიებას ქართულს ენაზედ („ეროვნულ მილში“) დაეწაფოს მას. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ მოწოდებას ბ. ი. გ—შვილისას მრავალი თანამგრძნობელი გაუჩნდება და ჩვენი საზოგადოება, ულრმესად პატივს-მცემელი ჩვენის უძვირფასესის ახლად განსვენებულის მღვდელ-მთავრის სახელისა, უკანასკნელს წვლილს არ დაიშურებს ჯეროვანის „სამწიგნობრო თანხის“ დასაარსებლად. თუ ამ ჩვენს იმედს სრული გამართლება მოელის, მაშინ ჩვენ იმის მეტი არა დაგვრჩება-რა, რომ ვინატროთ: „სამწიგნობრო თანხა“ თავდაპირველად მაინც მხოლოდ და მხოლოდ საფუძვლიანის თვით-განათლების შემცემ თხზულებათა გამოცემას მოჰხმარდეს.

ხოლო რათა განზრახულმა თანხამ სასურველად აასრულოს თავისი დანიშნულება, ამისთვის საჭირო იქნება დაარსდეს ჩვენს ინტელიგენციაში წრე, რომელიც უნდა შესდგეს ქართველ საუკეთესო ინტელიგენტთა და პროფესსორთაგან (?) და რომელმაც უნდა იტვირთოს თვით-განათლების საქმის მოწეს-რიგება და დედა-ენაზედ მოწყობა.

დანიშნულება ამ წრისა საკმაოდ რთული იქნება: მან უნდა შეადგინოს თვით-განვითარების მსურველთ სახელმძღვანელოდ 1) პროგრამა თვით-განვითარების პროცესში წესრიგისა და სისტემის დასაცველად და 2) კატალოგი ყველა იმ რჩეულ თხზულებათა, რომელნიც აუცილებლად საჭირონი არიან ჯეროვანის თვით-განათლების მისაღებად (ეს საქმე არც ისე დიდს შრომას მოითხოვს წრისგან, რადგანაც ამ უკანასკნელს შეეძლება ისარგებლოს თვით-განათლებისთვის უკვე შედგენილისა და მზა-მზარეულის რუსულის პროგრამა-კატალოგებით); ამ წრემ უნდა დააკისროს თავისს წევრებს შედგენა საჭირო თხზულებათა; აიჩინოს საუკეთესო მთარგმნელები, რომელთაც მიენდობათ არჩეულის წიგნების გადმოთარგმნა (ჩვენის ფიქრით, ამგვარს მთარგმნელებს ადვილად და ბლომად იშოვის წრე, რადგანაც ამ ბოლო დროს ჩვენში, ღვთის მადლით, ძალიან გამრავლდა მთარგმნელთა რიცხვი და ისეთი მთარგმნელებიც-კი გაგვიჩნდნენ, რომელნიც არ დაჰრიდებიან გადმოთარგმნას იმისთანა სერიოზულის ავტორებისასაც-კი, როგორნიც არიან მაგ. ბოკლი, ლიპერტი, ჭკარნო, ბურჯე და სხვ...); ყოველი თარგმანი განხილულ და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწორებულ უნდა იქნეს წრის მიერ, რომ თარგმანი, რაც შეიძლება, უნაკლულო იქნეს. ყოველის ამისთანა წიგნის გამოცემა უნდა იკისროს თვით წრემ და სხვ. და სხვ...

როგორც ვხედავთ, ამ წრეს მრავალის სარგებლობის მოტანა შეეძ-

---

*) იხ. «ივერია» № 78.

---

მოსაზღვრა, მორთოლ; მისი დარჩენილი კბილები უნაკლულოდ და გულის წარმტაცად დაუსურათა არემარეს. მშვენიერი სანახავი იყო იგი მაშინ! — ის მოგაგონებდა დიდებულსა და ზარ-მრისხანე გვირგვინოსანს, რომელიც მშვიდობინობის დროს თავ-მომწონედ და საამო მდუმარებით დაჰყურებს, დარაჯობს თავისს საბრძანებელს და იმავე დროს წარბებ შეკრული, მუქარით მისჩერებია მოსაზღვრეს, რომელიც მისს სამეფოს ძალით დაპყრობას უქადის. ეს ბუნების დარაჯი, მართლა და, ვითა ვეშაპი, შავად ამართულიყო მოკამკამე ცის სივრცეზე, ჩამოფარებოდა ღამის მნათობს, თითქოს არ უნდოდა, რომ მისის მშვენიერებით სხვასაც გული დაეტკბო და მხოლოდ თითონ, ვითა მეუფე ცისა და ქვეყნის, სულგანაბული იმოსებოდა ციურის ელვით და თავზე სხივთა ჯიღას იდგამდა... თვალი ველარ მოვსწყვიტე ამ სანახავს—შემეხარბა: რად არა ვარ მე ეს მთა?—გავიფიქრე გულში—რად არ შემიძლია დავესურათო ასეთის დიდებით მისს თვალს, ვინც ჩემი თავი ჩემს თავს წაართვა და დაიმონა? რად არა ვარ ასეთი უშიშარი და თვალსაჩინო დარაჯი, რომ მას, ვინც მე მიყვარს, სიოც-კი არ მივაკარო, სხვისი სუნთქმა ჩამოვაშორო!?.. შემეხარბა... მაგრამ არა მარტო ადამიანს მოსდევს თურმე სიხარბე; არა მარტო ადამიანს სურვებია ყოველის დიდებისა და მშვენიერების თანასწორად განაწილება: შეეხარბა მთელს ბუნებას „ვეშაპის“ დიდებულება, ოქროს მანტია, სხივთა გვირგვინი—და ჯერ უმახლობელეს გორაკებმა მოიბეს რქებზე ნაზი სხივები, შემდეგ გადაუსროლეს მოძმეთ და ჩააბეს მათ, ამათმა გადაუბურთავეს დანარჩენ ბორცვებს, ხევებს, ჭალებს,—და ამნაირად მთელმა ბუნებამ გატაცებულის თავმოყვარეობით დაიხვია უსხეულო სხივები და გასწია თავისაკენ: ველარ მოიკავა ფეხი მათმა მშობელმა—და „ვეშაპის“ მწვერვალზე ამოგორდა, ვით ცეცხლის ბორბალი პირბადრი მთვარე—ამოგორდა და მშობლურის ალერსით გადააფარა სხივთა ლეჩაქი მძინარის ქვეყნის ოთხსავე კიდეს და გულში ჩაიკრა; დასავლეთიდამ მიესალმა მას უხილელი ფრთოსანი—ცელქი სიო—და ქვეყნის მიერ მადლობის ნიშნად ვარდ-ყვავილთა სუნნელება უკმია.

ამასობაში, დიდ მანძილზე გავშორებოდი ჩვენს სოფელს და დავმჯდარიყავ იმ პატარა მდინარის პირად, რომელსაც „ჩხრიალა“ ერქვა და რომელიც ჩვენსა და რევაზის სოფელს საზღვრად ედო...

—

მდინარე რაღაცას ბუტ-ბუტებდა, ჰკვნესდა, სწუხდა, დრტვინავდა. მოაწყდებოდა რომელსამე ლოდს აღქაფებული, უეცრად დაუწყნარდებოდა, დაუტკბებოდა, რაღაცას ჩარაკრაკებდა, შემდეგ ისევ ამოიღუღლუღებდა, რაღაცას და ქვეითკენ დაექანებოდა... საკვირველი იყო: მისი ერთი სიტყვაც ვერ გავარჩიე, ვერც ერთი წინადადება ვერ გამოვარკვიე, ყურს ერთი ნაცნობი ხმა, კილო, ჰანგი არ მოსმენია მისაგან, მაგრამ ყოველსავე-კი მივხვდი, ყოველივე ჩემთვის ნათელი იყო: მდინარე ბედსა ჰგმობდა, სიყვარულს მოსთქვამდა, უიმედობას სჩიოდა; მთვარეს ემდუროდა, მთვარეს—თავისს სატრფოს, რომელიც შორიდამ დაჰყურებდა მას, ანათებდა, აკამკამებდა და გათბობით-კი არ ათბობდა!.. თანაგრძნობა გამოვუცხადე „ჩხრიალას“—თითოეული მისი ამოოხვრა ჩემის გულის ვაებით ამოკვნესა იყო... უსიტყვო და უცრემლო ქვითინით გულ-მომწყვლელ ფიქრთა სამფლობელოში გარდაველი. არ ვიცი რაოდენს ხანს ვყავდი დივიწყებას დატყვევებული და გახვეული ყრუ მდუმარების სამოსში, რომელიც თითქმის ყოველს კავშირსა სწყვეტდა ჩემსა და ცხოვრების შორის, და ეს-კი ვიცი, რომ რაღაცამ შემაკრთო... სიამისა და შიშის ძალამ ერთსა და იმავე დროს დამირბინა, შემზარა, შემბორკა! თვალის დახამ-ხამება, კრინტის დაძვრა, ფეხის გადადგმა ვერ მოვახერხე... გამაცივა, თვალები ამიჭრელდნენ; გული საგულედამ ამოვარდა... ჩემ თვალთა წინ, წყნარად ჩამოიარა ნავმა, რომლიდამაც მოისმოდა ნელი დუდუკი და რევაზის წყნარი, ტკბილი ღიღინი: „ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედოო“... გონება დავკარგე!.. როდესაც ნავი გამცილდა, ჩაიარა, გორას მოეფარა, სიმღერისა და დუდუკის ხმა ნელ-ნელ მიწყდა,—მაშინ, ჰო, შვილო, სწორედ მაშინ დედი შენის ცრემლებს უჩვეულნო თვალთაგან, ვით ობოლი მარგალიტი, პირველად გადმოვარდა ცრემლი, დამეცა ხელზე და ისე დამწვა, ვით შხეფმა ჯოჯოხეთის მდუღარებისამ... ის ცრემლი იყო ცრემლი უწმიდესის სიყვარულისა!... მიყუჩებულმა მდინარემ, ჩემი ცრემლი რომ დაინახა, თანაგრძნობის ნაცვლად, თითქო სიცილი დამაყარა—რაღაც წამოიღუღლუღა, წამოიყბედა, მაგრამ იმავ წუთსვე, მგონი მისთვის ის უნდოდა ეთქვა, რომ—მაგ ცრემლს დაცინება არ ეკადრებაო,—სსსს! შამოუტია მას სიომ და დარცხვენილმა „ჩხრიალამაც“ ხმა გაჰკმიდა, სული განაბა... საამო განთიადმა ჩამაბა სხივები გულში და დასუსტებული, ჯანმიდებული ჩემის სახლისაკენ წამიყვანა...

გრ—ა.

(შემდეგი იქნება).

ლება: გაუმჯობესდება საზოგადოდ ჩვენის განათლების საქმე, ფრთებს გაიშლის ჩვენი ენა (შემუშავდება ქართული სასჯა-ბაასო, და სამეცნიერო ენა); გაადვილდება და მოწეს-რიგდება ახალგაზდათათვის თვით-განვითარების საქმე (იგინი აღარ დაჰკარგვენ დროს უსარგებლო წიგნების კითხვაში, რომელთაც-კი წაეტანებიან ალალ-ბედზედ, აღარ დაიმძიმებენ გონებას და აღარ დაიზიანებენ ტან-მთელობას უთავ-ბოლო კითხვით და სხვ.); გაუმჯობესდება ჩვენის წიგნების გამოცემისა და აგრეთვე თარგმნის საქმე; გამდიდრდება ჩვენი ლიტერატურა, და გარდა ყველა ამაებისა, რაც არა ნაკლებ საყურადღებოა, გამრავლდება ჩვენში თავისს-ენაზედ თვით განვითარების მიღების მსურველ ახალგაზდათა რიცხვი.

დასასრულ, შეიძლება, მიბრძანოთ: მაგ საქმის ეხლავე გაკეთება შეუძლებელია და დიდს შრომასაც მოითხოვსო; ამიტომ სჯობს მოვიცადოთ მანამდის, როცა ქართული ლიტერატურა ისე გამდიდრდება, რომ ყველა, საფუძვლიანის თვით-განვითარებისთვის საჭირო, წიგნები ხელთ გვექნებაო, ამაზედ მოგახსენებთ: უტოპისტობისაგან ღმერთმა დამიფაროს! მე სადღე-ხვალიოდ კი არ ვოცნებობ ჩემის პროექტის განხორციელებას; მთელი ჩემი სურვილი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ აქედანვე შევუდგეთ საქმეს და დავაჩქაროთ ჩვენის ახალგაზდობის თვით-განათლების მოწეს-რიგება; ნუ დავუცდით ჩვენის ლიტერატურის თავის-თავად გამდიდრებას, ჩვენ თვითონ დავაჩქაროთ მისი გამდიდრება! არ უნდა დავიზაროთ დიდი შრომა დიდად სასარგებლო საქმისთვის და ნუ გავიხდით საქმეს ისე, რომ პეტრეს მოსვლამდის ჩვენ ტყავი გაგვაძრონ!...

სევ—ლი.

## კორესპონდენცია.

**ს. ქუხი.** ერთი საზოგადო დაწესებულება, რომელიც „მეაბრეშუმეთა ამხანაგობის“ გარდა არსებობს კიდევ ჩვენს სოფელში, არის: „ქუხ-გუბის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“. იგი ამხანაგობა 12 წლის წინედ დაარსდა ჩვენში ბ-ნ ნესტორ წერეთლის მეთაურობით და ეხლაც ამ დაუღალავის მოღვაწის მმართველობის ქვეშ იმყოფება. თავიდამ ეს ამხანაგობა 27 კაცისაგან შესდგა და დღეს მას ოთხასზედ მეტი წევრი ჰყავს. მისს თორმეტის წლის არსებობაში იგი ერთხელაც არ შეფერხებულა და დღემდის პირ-ნათლად ადგია და ასრულებს თავისს დანიშნულებას. წარსულის 1895 წლის ანგარიში ამხანაგობის საზოგადო კრებამ განიხილა და დაამტკიცა 14 იანვარს. ანგარიშიდამა სჩანს: 1895 წლის განმავლობაში ამხანაგობას შემოსვლია 61,515 მ. 63 კ.; ამავე დროს გასავალი ამხანაგობისა ყოფილა 59,082 მ. 36 კ. პირველ იანვრისთვის 1896 წლისა ამხანაგობას აქვს გასესხებული 24,887 მ. 38 კ., ნაღდი ფული 3,027 მ. 86 კ., მომგებიანი ბილეთები 245 მ. და ქონება 500 მ., სულ 28,660 მ. 24 კ. ამ ფულიდამ 11,498 მ. 76 კ. არის ამხანაგობის წილი ფული, ანუ თავნი, 14,633 მ. 26 კ. არის მობარებული ფული სხვა-და-სხვა პირთაგან, 819 მან. 45 კ., სათადარიგო თანხა და 1,708 მან. 77 კ. არის წმინდა მოგება. ეს წმინდა მოგება კრებამ ასე გაანაწილა: 180 მ. 55 კ. გადასდვა სათადარიგო თანხის მისამატებლად; 1,331 მ. 40 კ. დივიდენდად დაურიგა თავისს ამხანაგებს (14%), 30 მანეთი ქონების ხარჯების დასაფარავად; 5 მანეთი პეტერბურგელ კომიტეტს სასოფლო ამხანაგობათა, 20 მანეთი ჟურნალ-გაზეთებისათვის, 20 მანეთი ღარიბთა შესაწევად და 121 მ. 82 კ. სასოფლო გზებისა და ბოგირების (ხიდების) შესაკეთებლად. კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა ამხანაგობის მმართველს ბ-ნს ნესტორ წერეთელს, (იგივეა მმართველი „მეაბრეშუმეთა ამხანაგობისა“). ვაშა ამ პატიოსანს მოღვაწეს, რომ ასე ენერგიულად და თავ-გამოდებით მიუძღვება ულეველივე მისს დაწყებულ საქმეს.

ივანე გორდაძე.

# უცხოეთი

**ინგლისი.** „ტაიმსი“ მიაქცევს ინგლისის საზოგადოების ყურადღებას მას, რომ რუსეთისა და საფრანგეთის პოლიტიკა აფრიკის საქმეებში მეტად მავნებელია ჩვენის ინტერესებისაო. ეს ორი სახელმწიფო სცდილობს აფრიკის ველურის ხალხისაგან მწყობრი ჯარები შეადგინოს, ევროპიელებს თავს დაასხას და აფრიკიდამ განადევნინოს იგინი. საფრანგეთი იმასაც-კი სცდილობს, რომ დერვიშები და აბაშელები ერთმანერთს დაუკავშიროს.

— მეთაურში „ტაიმსი“ დიდს შიშს აცხადებს რუსეთის პოლიტიკის საზოგადო მიმართულების გამო, აღნიშნავს რუსეთის დიპლომატიის გამარჯვებას ლობანოვ-როსტოვსკის მინისტრობის შემდეგ. „ტაიმსი“ ამბობს, რომ რუსეთის გავლენის გაძლიერება აბაშეთში, საფრანგეთის უკმაყოფილებას გამოიწვევსო.

— ლონდონში ამბობენ, მეფე ლეოპოლდმა როგორც უმაღლესმა წარმომადგენელმა, კონგოს სახელმწიფოსამ, გერმანიის ზედ-გავლენის გამო, აღუთქვა ინგლისს, რომ დიდს შემწეობას მოგცემ მაჰდისტებთან ბრძოლაშიო. როგორც ჰგავს ლეოპოლდი აპირობს „სამთა კავშირს“ მიემხროს. ამბობენ აგრეთვე, რომ პარისში ინგლისის ელჩად მყოფის ლორდ დიუფფერინის ადგილზედ ლორდი კიურრი დაინიშნებაო.

ხმა ისმის, რომ ჰაერში მომცურავთა რაზმს უბრძანეს მზად იყავით დონგოლის ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებადაო. თავისუფალ მეომართა რაზმიც მიდის ეგვიპტისაკენ. „დაილუ ტელეგრაფის“ სიტყვით სამხრეთ აფრიკაში ერთს ბატალიონს კიდევა გზავნიან.

— „მორნინგ პოსტი“, ინგლისის მთავარ მინისტრთან დაახლოებული გაზეთი, აი რასა სწერს ინგლისისა და „სამთა კავშირის“ დაახლოების შესახებ: სანამ არ გამოირკვევა გერმანიის მონაწილეობა ტრანსვაალის საქმეებში, მანამ ინგლისისა და გერმანიის შეთანხმება მოსალოდნელი არ არის. ჩვენ ძალიანა გვსურს დაუკავშირდეთ გერმანიას, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ სამხრეთი აფრიკისა და სხვა საქმეების გამო შეთანხმება მოხდეს ჩვენს შორის... ის აზრი, ვითომ ინგლისი სხვა სახელმწიფოებს არ უკავშირდება—სინამდვილეს მოკლებულია. ისტორია გვამცნებს, რომ ინგლისი ყოველთვის დასთანხმებულა ამგვარს კავშირზედ, როცა «სამთა» და „ოთხთა კავშირს“ აზრად ჰქონია, რომ ევროპის ხმელეთის რომელიმე სახელმწიფოს მავნებელს აზრებს და მოქმედებებს წინაღუდგეს. მაგრამ ამგვარის კავშირის მოსაპოებლად ინგლისს არავისთვის კარი არ აუტალახებია, წინაღმდეგ, ამგვარს კავშირში მას პირველი ადგილი სჭერია.

**ესპანია.** არჩევნები პარლამენტის წევრებისა უკვე დასრულდა. 14 აპრილს მოხდება არჩევნები სენატში და 30 დაიწყება პარლამენტის სხდომები. ჩვეულებისამებრ არჩევნებში გაიმარჯვეს სამინისტროს მომხრეებმა. ჯერ-ჯერობით მოსულ ცნობებიდამ სჩანს, რომ კონსერვატორთა რიცხვი იქნება 300, კონსერვატორთა არა სამინისტროს მომხრეთა რიცხვი 8, კარლისტები 8, კლერიკალი 4, ლიბერალები 70 და 42 რეაქციონერი ანტილის კუნძულთა წარმომადგენელნი. არ მოსულა ცნობები მხოლოდ რამდენიმე არჩევანისა, და პარტიების რაოდენობა ამით მაინცა და მაინც არაფრად შეიცვლება. მთავრობამ ამ რიგად მეტად გაიმარჯვა არჩევნებზე, ხოლო ლიბერალები ძალიან დამარცხდნენ.

**საფრანგეთი.** პარისში დიდი მითქმა-მოთქმაა გერმანიისა და ინგლისის დაახლოვების შესახებ. ამ ფაქტმა ძლივს გამორკვეული პოლიტიკური საქმეები ისევ აწეწ-დაწეწაო და არავინ იცის რას მოიტანს 1896 წლ. გაზაფხულიო. ამ ფაქტს გაოცებაში მოჰყავს ყველა, თუმც ჩვეულნი არიან ვილჰელმ II-ის აჩქარებით მოქმედებას. რა არის მიზეზი ასეთის მოქმედებისა?—აი რა კითხვა ებადება დღეს ყველას საფრანგეთში და არა თუ იქ, ყველგან შეიძლება გერმანიის იმპერატორმა სცნო, რომ ინგლისთან და რუსეთთან ერთად მოქმედება შორეულის აღმოსავლეთისა და გინდა სომხების საქმეში გერმანიის ინტერესებისათვის მავნებელია. ან და შეიძლება საფრანგეთს ემდურის, ტრანსვაალის საქმეებში რატომ მხარი არ მომეციო. ვინ იცის, იქნებ საფრანგეთის ეხლანდელი სოციალისტთა მომხრე მთავრობა არ მოსწონს გერმანიის მონარქს? ყველა ამას შეიძლება გავლენა ჰქონდეს, მაგრამ იტალიის დამარცხება კი უმთავრესი მიზეზია. ან „სამთა კავშირი“ უნდა დარღვეულიყო, ან და ჰუმბერტოს ძლიერი მომხრე უნდა ეშოვნა, ასეთი მომხრე მხოლოდ ინგლისი იყო და ინგლისმა არჩია ამ კავშირის დაცვა, ამიტომაც ინგლისის გული მოიგო და იტალიას ძლიერი შემწეობა უშოვნა. ასეა, თუ ისე, „სამთა კავშირი“ ხელახლად გაძლიერდა და ამ ძლიერების არა მცირედი მიზეზია ინგლისთან დაახლოება. ხოლო ეხლა საკითხი ის არის—რას იზამს ინგლისიო, ამბობენ თურმე საფრანგეთში. იქ გარდაწყვეტილი აქვთ, რომ ინგლისი აღმოსავლეთში ასწევს საქმეებს. ეჭვი არ არის სომეხთა საქმე ისევ თავს ამოჰყოფსო და აქ ელის ინგლისი გამარჯვებას და ჯავრის ამოყრას შარშანდელი დამარცხებისთვისო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— დიდი ხანია ევროპაში დაიწყო მოძრაობა წინააღმდეგ ომისა და მშვიდობით-მყოფელობის კონგრესები არა ერთხელ და ორჯერ მომხდარა სხვა-და-სხვა ქალაქებში, მაგალითებრ, ბრიუსსელში, ლონდონში, ფრანკფურტში, პარისში და ჟენევაში. პარისის კონგრესსმა 1849 წ., საცა თავმჯდომარეობდა ვიქტორ ჰიუგო, მთელს ევროპაში გაიგდო ხმა, მაგრამ მაინც ზედმოქმედებამ მისმა მაგრად ვერ მიაიკიდა ფეხი. ბევრი დღესაც იმ აზრზეა, რომ ომი საზარელი, მაგრამ აუცილებელი უბედურებაა. ამის და მიუხედავად ზოგიერთი დღესაც გამარჯვებადა სთვლის იმას, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ბევრმა იგრძნო, რომ ომი იმისთანა ბოროტებაა, რომელსაც ადამიანი უნდა ეწინააღმდეგოს, რათა სრულებით მოისპოს. დღეს ძნელად იპოვით სახელმწიფოდ-მომქმედს კაცს, რომ, თუნდ გულშიც ჰქონდეს, გულ-ახდილად წამოსთქვას ომის საჭიროება და მისი ქება-სარგებლობა. 1890 წ. უკანასკნელმა საფრანგეთის მარშალმა კონრობერმა შეუთვალა საპარლამენტო შორის კონფერენციას ლონდონში, რომ: „მე ვიცი რაც არის ომი. იგი საძაგელი საქმეა, და ამიტომაც ომს ერიდენითო“.

კაცობრიობის სანუგეშოდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მოძღვრება მშვიდობით-მყოფელობისა დღე და დღე ჰმატულობს და ძლიერდება. ამას ამტკიცებს მატება «მშვიდობის-მყოფელთ საზოგადოებათა» ყველგან ევროპაში. წინად, მაგალითებრ, ინგლისში მარტო ერთი ამისთანა საზოგადოება იყო. ეხლა ამ საზოგადოებას მიემხრო «საერთაშორისო საზოგადოება მედიატორეთა მიერ განსამართლებისა და ასსოციაცია მშვიდობის-მყოფელობისა». მოთავე ამისი არის ჰოჯსონ პრატტი. მერე დაარსდა „საერთაშორისო ლიგა მედიატორეთა მიერ განსამართლებისა და ქალთა ასსოციაცია მშვიდობით-მყოფელობისა“. ამისი მოთავე არის ქალი ჰენრი რიჩარდი.

საფრანგეთში გარდა „მედიატორეთა მიერ განსამართლებისა“, რომლის წევრად არიან შარლ რიშე, დ'არსონვალ, ჟიულ სიმონი, ბერტელო, დეჟარდენი და სხ., არის რამდენიმე ასსოციაცია მშვიდობის-მყოფელობისა, რომელთ შორის რამდენიმეა დაარსებული ქალთაგან. ყველა ამ საზოგადოებათ კავშირი აქვთ ამისთანავე საზოგადოებებთან ინგლისში, შვეიცარიაში და გერმანიაში.

იტალიაში, რომელიც ყველაზე მეტად შეწუხებულია ჯარიანობითა, სწორედ ბუდეა ომის წინააღმდეგთა საზოგადოებებისა. ამისთანა საზოგადოებანი არიან სიცილიაში, ნეაპოლში, რომში, ჰენუაში, პარმაში, ვენეტიკაში, ტურინში, სიენნაში, პერუზაში და სოფლებშიაც-კი. ყველაზე უდიდესი ამ საზოგადოებათა შორის არის „ლომბარდიის მშვიდობის-მყოფელი საზოგადოება“, რომლის მეთაურად არის რედაქტორი ძალიან გავლენიანის და გავრცელებულის გაზეთისა „Secolo“ თეოდორო მონეტა. ბელგიაში და ჰოლანდიაშიაც არის ამგვარი საზოგადოებანი. სკანდინავიის სახელმწიფონი შვეცია, ნორვეგია, დანია მთლად მიემხრენ მშვიდობით-მყოფელობის მოძღვრებას და მოძრაობას ასე, რომ მარტო დანიაში, მაგალითებრ, რამდენსამე კვირას 200,000 მეტმა კაცმა მოაწერა ხელი პეტიციას, რომელიც თხოულობს საერთაშორისო მედიატორეთა მიერ განსამართლებას.

გერმანიაში ამ ორის-სამის წლის წინად მარტო ერთი ამისთანა საზოგადოება იყო, ისიც ფრანკფურტში. იმასაც არავითარი ზედ-მოქმედება არა ჰქონდა, რადგანაც ძალიან ცოტა წევრი ჰყვანდა. ეხლა ამისთანა საზოგადოებანი რიცხვით ოც-და-ათია და ყველაზე უდიდესი და გავლენიანი ბერლინშია. იქ ეხლა ერთი გავლენიანი ჟურნალი გამოდის, რომელსაც სახელად ჰქვიან: „იარაღი ნუ“! და რომლის რედაქტორია ბარონესსა ზუტტნერი, ცნობილი ავტორი ამავე სახელის რომანისა. ბარონესსა ზუტტნერმა დააარსა ვენაში „მშვიდობის-მყოფელი საზოგადოება“, რომლის მონაწილენი არიან წარჩინებულნი და დიდის გვარის კაცნი. უნგრეთში ამისთანა კონფერენცია მოახდინა სახელ განთქმულმა უნგრეთის პოეტმა იოკაიმ.

თქმა არ უნდა, ამისთანა საზოგადოებას თავისი ჟურნალ-გაზეთები აქვს, გარდა ამისა ჰბეჭდვენ წიგნებს, ბროშიურებს თავისის აზრების გასავრცელებლად და მოსაფენად, აგრეთვე საჯაროდ იწვევენ კრებას, კითხულობენ ლექციებს. ამ გზით მშვიდობის-მყოფელობის ქადაგებამ და მოძღვრებამ ზედ მოქმედება იქონია ევროპის ჟურნალ-გაზეთობაზედაც და მწერლობაზე. ბევრ შემთხვევაში დღეს ჟურნალ-გაზეთობა მომხრეობას უჩენს ამ მოძღვრებას. ასე მოხდა ვენეცუელის, ტრანსვაალის და სომხების საქმეში, რომელთ გარდასაწყვეტად აქა-იქ ევროპის ჟურნალ-გაზეთობა მედიატორეთა მიერ განსამართლებას თხოულობდა.

მშვიდობის-მყოფელობის გული ეხლა ბერნია, შვეიცარიის ქალაქი. ბერნი ამორჩეულია საპარლამენტო შორისის კონფერენციებისა და აქვს მუდამი ბიურო მშვიდობის-მყოფელობის საზოგადოებათა. საპარლამენტო შორისი კონფერენცია შეადგენს იმ კრებულს, საცა მონაწილენი არიან ყოველ სახელმწიფოს პარლამენტის წევრნი, რომელნიც-კი თანაუგრძნობენ მშვიდობის-მყოფელს მოძღვრებასა. საერთაშორისი კონგრესსი სულ სხვაა: აქ იკრიბებიან ყველა ერის და ქვეყნის კაცნი, რომელნიც-კი თანაუგრძნობენ ხსენებულს მოძღვრებას. ეს საერთო კონგრესსი ყოველ წელიწადს 1889 წლიდამ ერთს რომელსამე დიდს ქალაქში იკრიბება. 1889 წელს პირველი კონგრესსი მოხდა პარისში, მაშინ მარტო ასი კაცი მოვიდა კონგრესსზე. ეხლა თანდათან ბევრი მოდის და ყოველ წლივ ემატება.

კონგრესსი ირჩევს ყოველ-წლივ ბიუროს, რომელიც ზემოდ არის ხსენებული და მუდამ ბერნშია. მთელის ქვეყნის მშვიდობის-მყოფელ საზოგადოებათათვის არის ეს ბიურო დაარსებული. ვისაც რა საკითხავი აქვს შესახებ ხსენებულ საქმისა, ან რამ გამოსაძიებელი, ან ცნობა რისამე უნდა, ამ ბიურომ უნდა გასცეს პასუხი. ეს ბიურო აგროვებს ყოველგვარს ცნობას შესახებ მშვიდობის-მყოფელ მოძღვრებისას, ხსნის და განმარტავს, რაც ადსახსნელია და განსამარტებელი, აგროვებს წერილებს, წიგნებს, საცა-კი რამ დაბეჭდილა შესახებ ხსენებულ მოძღვრებისა, შუამავლობს ყველა საზოგადოებათა შორის და სხვანი.

გარდა ამ კონგრესსისა, რომელიც ყოველ წლივ იკრიბება, 1889 წ. დადგენილ იქმნა, რომ ყოველ წლივ თავი მოიყაროს ეგრედ წოდებულმა საპარლამენტო შორისმა „კავშირმა“. ეს „კავშირი“ იმავ საქმეს ემსახურება, რასაც კონგრესსი და მოვალეა საერთოდ გამოიძიონ სხვა-და-სხვა საერთაშორისი საქმენი, რომელთა გამო შესაძლოა მოხდეს პოლიტიკური განხეთქილება. ამ კავშირში მონაწილენი არიან პარლამენტების წევრნი მთელის ქვეყნისა, რომელნიც-კი თანაუგრძნობენ კავშირს. ხუთმეტი კაცი ჰყავს ამ კავშირს ამორჩეული, რომელნიც შეადგენენ მის დელეგაციას და რომელთა კრებული მოვალეა თვალ-ყური ადევნოს, კავშირის სახელით, პოლიტიკის ასე თუ ისე სვლას.

გარდა ამგვარ საზოგადოებათა, რომელიც ეხლა ყველგან მოფენილია, ინგლისში არის ერთი განსაკუთრებული საზოგადოება, რომელსაც ჰქვიან: „კვირა“ მშვიდობიანობისა“. ამ დღეს ეკკლესიებში, რომელთ მოძღვარნი მიემხრნენ ამ საზოგადოებას, ერთსა და იმავე ქადაგებას ამბობენ ყველგან და ერთსა და იმავე ლოცვას მშვიდობიანობის აღდგენისათვის. ყოველივე ეს იმის ნიშანია, რომ ბატონობას თავში ცემისას და სისხლის ღვრისას დასასრული უჩანს და სინიდისი ადამიანისა ეძიებს აღდგენას სამართლისას და სიმართლისას საერთაშორისო საქმეებში. (მ. ბ.)

## წერილი რედაქციის მიმართ.

გამგეობა სურამის უფასო სამკითხველოსი დიდს მადლობას უძღვნის ბ. ალექსანდრე მაჭარაშვილს ოქროს კარაუიან ჩარჩოს შემოწირვისათვის, რომელიც ღირს 5 მანეთი ხელმწიფის სურათით, მ. დეკანოზიშვილს, რომელმაც შემოსწირა წიგნები: „მოლა მასრადინა“ და „Отчетъ о поѣздкѣ учениковъ Тифлисской 1-ой гимназіи въ Баку» უდით,—გულითადს მადლობას უძღვნისს ქ-ნს ელენე ბილანიშვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქქსი ნუმერი როსტომაშვილის უკანასკნელი გამოცემების შემოწირვისათვის, რომლებიც აგრე საჭიროა სახალხო სამკითხველოებისათვის და ჩვენ-კი ფრიად ცოტა გვაქვს.

იოსებ მესხი.

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო: 1) წერა-კითხვის საზოგადოებას, რომელმაც ს. სტეფან-წმინდის სახალხო წიგნთ-საცავს შემოსწირა ერთი თუმნის წიგნები; 2) ზ. ეკანგულოვს—შემოსწირა წიგნთ-საცავს 30 ცალი ქართული წიგნი; 3) იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს—შემოსწირა 10 ცალი თვის მიერ შედგენილი წიგნები; 4) კანო რცხილაძეს—შემოსწირა გაზ. „ნედელის“-ს წიგნები და გაზეთები 1895 წლისა; 5) კანო შუაქრიშვილს—შემოსწირა 4 ცალი ქართული წიგნი; 6) ვასილ ლებედევს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს სტეფან-წმინდის სკოლას შემოსწირა 1 მან. 50 კაპ. საწერი ქაღალდი. აგრეთვე ბალთის სადგურის უფროსს მაკარ ოქროპირის ძე გვიჟიანძეს, რომელმაც დიდი შემწეობა აღუთქვა ჩვენს წიგნთ-საცავს.

ს. სტეფან-წმინდის სკოლის მასწავლებელი გიორგი ნათაძე.

—

სამკითხველოების და იაფ-ფასიანი წიგნების გამოცემის სასარგებლოდ უკელიერში გამართულ საღამოდამ წმინდა შემოსავალი დარჩა 225 მ., რომელიც დანიშნულებისამებრ გადაეცა. ამ საღამოს მოთავენნი დიდ მადლობას უძღვნიან უკელა იმათ, ვინც თავისი შრომა და წვლილი არ დაიშურეს.

ეკ. მესხისა.
ან. წერეთლისა.

—

ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ქველ-მოქმედთა ყურადღება 70 წლის დედაკაცს, რომელსაც ავადმყოფობისა და ღრმა სიბერის გამო აღარ შეუძლია თავისის შრომით ირჩინოს თავი, არც სხვა ჰყავს მფარველ-მრჩენელი და უკიდურეს გაჭირვებაშია. ადრესი: თუმანოვის მეორე ქუჩა, № 20, იკითხეთ—ეფროსინე ბიბილურიძე.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ხიდირბეგიშვილნი. თავად ხიდირბეგიშვილთა გვარეულობა აღნიშნულია ქართლის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ირაკლი II-ის მიერ 24 ივლისს 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა საოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი ხიდირბეგიშვილნი: 1) ივანე დიმიტრის ძე, ცოლი მისი ბარბარე, შვილნი მათნი: ყარამან, (ცოლი მისი გაიანე) და დიმიტრი და შვილის-შვილი სოფიო ყარამანის ასული; 2) ვახტანგ ლევანის ძე, ცოლი მისი ნინო და შვილი მათი ლევანი და 3) დავით ივანეს ძე, ცოლი მისი ანასტასია და ასულნი მათნი: ეფემია და ეკატერინე.

უმართებულესის სენატის განკარგულებით 20 დეკემბერს 1861 წ. ამ გვარს შეურთდნენ: თავადნი ალექსი, ივანე და მიხეილ ყარამანის ძენი ხიდირბეგიშვილნი.

უმაღლესის ბრძანებით 15 ოქტომბერს 1879 წ. ამ გვარს შეურთდნენ თავადნი ხიდირბეგიშვილნი: 1) ტარიელ ტარიელის ძე და შვილნი მისნი: როსტომ, კონსტანტინე, ასისო, ანტონ, ალექსანდრე და ედიშერი და 2) როსტომ გიორგის ძე და შვილნი მისნი გიორგი და კონსტანტინე.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 აპრილი*).

**პეტერბურგი.** ბულგარიის მთავარმა ფერდინანდმა უბოძა წმ. ალექსანდრეს ორდენი 1-ლის ხარისხისა ბრალიანტებით გარეშე საქმეთა მინისტრს,—უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორს, გენერალ-ლეიტენანტს ჩერნიაევს, ქალაქის მოურავს რატკოვ-როჟნოვს და სხ.

10 აპრილს, საღამოს $10^1/_2$ საათზედ მთავარი ფერდინანდი მინისტრებითურთ სტოილოვით, პეტროვითა და ამალით პარისს წავიდა. მთავარი ვოკზალზე გააცილეს დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ, გარეშე საქმეთა და გზათა მინისტრებმა და აგრეთვე სხ. პარისიდამ რომ დაბრუნდება, მთავარი ბერლინში შეივლის.

**პარისი.** საზოგადო აზრით მოსალოდნელია სამინისტრო სამსახურიდამ გადადგეს. საღამოს 11 საათზე მინისტრთ ჯერ კიდევ არ გაეთავებინათ ბჭობა. ჯერ არავითარი გარდაწყვეტილება არ მიუღიათ. საღამოს 10 საათზე ბურჟუა ელისეის სასახლეში წავიდა და ნახევარ საათზე მეტი დაჰყო ფორთან.

**პარისი.** ოფიციალურად აცხადებენ, რომ რადგანაც სენატმა უარი სთქვა მადაგასკარის კრედიტის განხილვაზე, სამინისტრო ჰფიქრობს ჯერ ერთი, რომ სახელმწიფო საქმეებს ისეთის რწმენით ველარ აწარმოვებს და მეორე, რადგანაც პალატა დათხოვნილია, არც სამსახურიდამ გადადგომა შეუძლიან. რადგანაც საქმე ასეა, სამინისტრომ გარდასწყვიტა პარლამენტი მოიწვიონ, რომ განუცხადონ, თუ რამ აიძულათ ასეთი გარდაწყვეტილება დაედგინათ.

**პარისი.** ქალაქის საბჭომ 38 ხმით თავისი სინანული გინაცხადა იმის გამო, რომ სამინისტრო სამსახურიდამ გადადგომას აპირებს და კონსტიტუციის გადასინჯვა მოითხოვა, რომ სანატის წინაალმდეგ საერთო ხმის უფლება დაიცვან.

**პარისი.** ნამდვილად ამტკიცებენ, რომ ფორი თანახმაა სამინისტრო სამსახურიდამ გადადგეს, მაგრამ ოფიციალურად ეს პარლამენტის სხდომის შემდეგ იქმნება გამოცხადებულიო. როგორც ფიქრობენ, პრეზიდენტი ფორი ეცდება ისეთი კაბინეტი შესდგეს, რომელსაც მორიგება და დამშვიდება შეეძლოს. როგორც ნამდვილად ამტკიცებენ, კაბინეტი უთუოდ სამსახურიდამ გადადგება, თუნდაც პარლამენტმა ნდობა გამოუცხადოს, რადგანაც ეს გარემოება საქმეს სრულიად არ შესცვლის.

**პორტ-საიდი.** 10 აპრილს ლიხუნგ-ჩანგი საფრანგეთის გემით მოვიდა. აქედამ იგი გემ „როსსია“-თი წავა პირდაპირ ოდესას, სადაც 14 აპრილს იქმნებაო.

## „ივერიის“ ფოსტა

—

ახალქალაქში ბ. პ. ნ—ს: შეიძლება ჩვენ მართლა შეცდომაში შეგვიყვანა კორესპონდენტმა, მაგრამ თქვენის წერილის დაბეჭდვა მაინც მოუხერხებლად მიგვაჩნია.

ტფილისში ბ. ბ—ს: თქვენს წერილს საზოგადო ინტერესი არა აქვს.

**ციც-გომბორელ ქალს:** თქვენი „პასუხის გამო“ არ დაიბეჭდება.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**უ. მ. ჩიქოანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: საალთი, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—102).

**კ ი რ ა ვ დ ე ბ ა**
ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

ახლად გამოვიდა და ისყიდება
ცხოვრება წმ. დიდის მოწამისა
**ეკატერინესი**
გადმოღებული თ. სახოკიას მიერ
გამოცემა
უდაბურ წყალ-წმიდის მმობისა.
ფასი ერთი შაური.
ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხ. სტამბას, ნიკოლოზის ქუჩა, 21.


# ანგარიში

ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისა
1-ლ აპრილს, 1896 წელს.
(საზოგადოებამ დაიწყო მოქმედება 17 ივლისს, 1895 წელს).

| | | | |
|---|---|---|---|
| | აქტივი: | | |
| I | საზოგადოების კასაში | | 4,086—77 |
| II | სახელდახელო ანგარიში ტფილისის საკომერციო ბანკში | | 6,185—70 |
| III | ვექსილებით გაცემული | | 86,605— |
| IV | გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| | ა) სახელმ. და მთავრ. გარანტ. ფასიანი ქაღალდები | 384— | |
| | ბ) სახელმწიფოს უგარ. ფასიანი ქაღალდები | 350— | |
| | გ) სამეურნეო ნაწარმოებთა | 1,040— | 1774— |
| V | მიმდინარე ხარჯი | 7,916—92. | |
| VI | დასაბრუნებელი | 189—56. | |
| VII | მოწყობა-მომართვა | | 983—32 |
| VIII | გერბის გადასახადი და ვექსილის ქაღალდი | | 26—05 |
| IX | პროტესტში მიცემული ვექსილი | | 900— |
| | | | მ. კ. 108,667—32 |
| | პასსივი: | | |
| I | თანხა, რომელიც შესდგა 485 წევრთა ფულიდგან | | 56865— |
| II | შესანახავად სასარგებლოდ შეტანილი ფული: | | |
| | ა) სახელდახელო ანგარიშზე | 12,135—549 | |
| | ბ) ვადით | 10,146—30 | |
| | გ) უვადოთ | 5,000— | 27,281—79 |
| III | მიღებული სარგებელი და კომისია | | 5,032—57 |
| IV | გარდამავალი თანხა | | 4,925— |
| V | სხვა-და-სხვა ინტერესები | | —98 |
| VI | მისაცემი სარგებელი | | 141—90 |
| VII | ვექსილების გადაგირავება | | 14,420— |
| VIII | 5% სახელ. გარ. თანხის შემოსავლიდამ | | —08 |
| | | | მ. კ. 108,667—32. |

საზოგადოებას აქვს შესანახად მობარებული პროცენტიანი ქაღალდები . . . . . . 4,000

გამგეობის თავმჯდომარე გ. ს. განძიელი

დირექტორები: { თავ. ვ. ს. მიქელაძე / ვ. რ. ყიფიანი

უფ. ბუღალტერი ი. ია. ბრონ-ფონ-ბრენერი.

(1—1)


საუკეთესო კოლდ-კრემი, ცუჩის პომადა და ბრილიანცინი
**კელერისა**
ყველაზედ უმჯობესია თვისის ღირსებით. ისყიდება ყველგან და უველა დიდ და ცნობილ ვაჭრებთან. (3—8—1).

ახლად გამოვიდა და ისყიდება
**ქართული გალობა**
ლიტურგია იოანე ოქროპირისა.

მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის, გამოცემა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, გადაღებული ფ. ქორიძის მიერ. გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მღვდელ გ. ნაკაშიძისა და მღვ. ნესტორ კ. კონტრიძისაგან.

პარტიტურა № 1.

წიგნი 174 გვერდია და ღირს ერთი მანეთი.

**ცალკე ხმები:** დამწყებისა, მაღალი ბანისა და ბანისა თვითოეული წიგნი 70 გვერდია და ღირს ორ-ორ აბაზად. ვინც სამივეს ერთად იყიდის, ერთ მანეთად დაეთმობა. წიგნები ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და გამომცემელთა მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

**მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში მიიღება ნოტების ბეჭდვის საქმე.** საგანგებოდ ამისათვის რუსეთიდამ ასოებია გამოწერილი და იმგვარადვე იბეჭდება, როგორც ჩვეულებრივი წიგნი. ნოტების ბეჭდვა შეიძლება ცალკე წიგნად და აგრეთვე სხვა ჩვეულებრივ წიგნთან ერთად შიგ ჩართვით.


Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Апрѣля 1896 г. — სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.